საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 3 21 0000559592

11/06/2021

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „აგროინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1.„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2 მუხლ ის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო)სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ“უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 3^1 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3.„აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში,საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან “ან„ არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. 2020 წლის 23 დეკემბრის № 1223455 კორესპონდენციით (ცენტრში რეგისტრაციის № 1233025; 28/12/2020) სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ იქნა სააკრედიტაციო განაცხადი ,,აგროინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2.2. ცენტრის დირექტორის 2021 წლის 20 იანვარის № 12139 (ბრძანებაში ცვლილება № 32388; 27.01.2021), სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2021 წლის 19 თებერვლის № 139305 ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2021 წლის 04 და 05 მარტს განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი სსიპ- საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, ხოლო 2021 წლის 14 მაისს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			
3.სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4.სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		√		
	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები				

2.3 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.
2.4ზეპირი მოსმენა გაიმართა 2021 წლის 28 მაისს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევესხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, დაამატა რეკომენდაციები და რჩევები, კერძოდ: არ გაიზიარა 1.1. კომპონენტი გაცემული რეკომენდაცია და ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; 1.2 კომპონენტში დაამატა რეკომენდაცია და ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეაფასა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; არ გაიზიარა 2.1 კომპონენტში გაცემული რეკომენდაციები და ნაცვლად „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“ შეაფასა, როგორც „შესაბამისია მოთხოვნებთან“; 2.2, 2.5 და 2.6 კომპონენტებში დაამატა რეკომენდაციები და ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეაფასა, როგორც „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“, შესაბამისად მე-2 სტანდარტი შეაფასა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; არ გაითვალისწინა 4.3 კომპონენტში გაცემული რეკომენდაცია და ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეაფასა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, შესაბამისად შეიცვალა მე-4 სტანდარტის შფასება და შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; 5.1. კომპონენტში დაამატა რეკომენდაციები და ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეაფასა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, შესაბამისად მე-5 სტანდარტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად 13 ხმით არცერთის წინააღმდეგ

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილისააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია, 6 თვის თავზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ,,აგროინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2021 წლის 11 ივნისის №558931 სხდომის ოქმის № 03 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. აკრედიტაციის საბჭოს მიერ დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

4.1 რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;
4.2 რეკომენდირებულია დაზუსტდეს წინაპირობები შემდეგ სასწავლო კურსებში : „გრუნტების მექანიკა, ფუძე საძირკვლები“, „სამელიორაციო ჰიდროტექნიკური ნაგებობები“;
4.3 რეკომენდირებულია რიგ სასწავლო კუსებში სწავლის შედგები შესაბამისობაში მოვიდეს სწავლის საბაკალავრო საფეხურთან;
4.4. რეკომენდირებულია სწავლა/სწავლების მეთოდები შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსის სპეციფიკასთან;
4.5 რეკომენდირებულია შეფასების მეთოდები შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსის სპეციფიკასთან;
4.6 პროგრამის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნეს აკადემიური/მოწვეული პერსონალის სამეცნიერო კვლევების დაფინანსება;
4.7 ფინანსური რესურსების გაზრდა პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის;
4.8 გაძლიერდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად;
4.9 სტუდენტების ჩართულობა პროგრამის მონიტორინგსა და შეფასებაში.

რჩევები:

- პროგრამის მიზნები ჩამოყალიბდეს მარტივი ფორმულირებით და იყოს აბიტურიენტებისათვის ნათელი და მკაფიო;
- დამუშავდეს გარკვეული გეგმა როგორც პროგრამის რეკლამირებისათვის, ასევე მოტივირებული და მაღალი კომპეტენციების აბიტურიენტების მოსაზიდად;

5. რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 6 თვე (2021 წლის 11 დეკემბრამდე);
6. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მისი ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნების დღეს, 2021 წლის 11 ივნისს.
7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული

გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ